



გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი

თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო მხარდამჭერებისა და
მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის



**გადაწყვეტილების მიღებაში
მხარდაჭერის მოდელი**
თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო
მხარდამჭერებისა და მომსახურების
მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის



დოკუმენტი მომზადდა პროექტის – „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები – „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

დოკუმენტი ეფუძნება კვლევის – „ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება – კანონმდებლობა და პრაქტიკა“ შედეგებს.

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი

დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ჩართული პირები:

მარიამ ჯანიაშვილი

რედაქტორი: ნინო ბეჭეშვილი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

გარეკანის ილუსტრაცია და დიზაინი: თათია ნადარეიშვილი

ააკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| შესავალი | 6 |
| 1. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი? | 8 |
| 1.1. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი | 8 |
| 1.2. პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება..... | 9 |
| 1.3. მხარდაჭერის ეტაპები | 9 |
| 1.4. პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკური სტანდარტები..... | 10 |
| 1.5. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირთან | 10 |
| 2. მხარდაჭერაში ჩართული სუბიექტები და მათი სტატუსი..... | 12 |
| 2.1. გადაწყვეტილების მიმღები ანუ მხარდამჭერის მიმღები პირი..... | 12 |
| 2.2. მხარდამჭერი | 13 |
| 3. გადაწყვეტილების მიღების 7 პრინციპები..... | 16 |
| 3.1. პრინციპი 1 – ყველას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებას..... | 16 |
| 3.2. პრინციპი 2 – გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა აღიარებული უნდა იყოს..... | 17 |
| 3.3. პრინციპი 3 – ყველა ძალისხმევა უნდა იყოს გამოყენებული, რომ ადამიანებმა მიიღონ გადაწყვეტილება | 17 |
| 3.4. პრინციპი 4 – გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა განსხვავებული შეიძლება იყოს სფეროების მიხედვით | 18 |
| 3.5. პრინციპი 5 – ადამიანებს აქვთ უფლება, ისწავლონ გამოცდილებით..... | 18 |
| 3.5. პრინციპი 6 – ადამიანებს აქვთ უფლება, შეცვალონ გადაწყვეტილებები..... | 19 |
| 3.5. პრინციპი 7 – ადამიანებს აქვთ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებსაც სხვები არ ეთანხმებიან..... | 19 |

შესავალი

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციას შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მისი დაუბრკოლებელი განხორციელება მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. 2015 წელს საქართველოში განხორციელდა ქმედუნარიანობის რეფორმა, რის შემდეგაც ქვეყანაში მოქმედებს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი. რეფორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში არსებული მეურვეობის სისტემა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა. ამას წინ უძღოდა 2013 წელს 26 დეკემბერს საქართველოს მიერ გაეროს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება, რომლის მე-12 მუხლი ყველა შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობასა და თანაბარ სამართალსუბიექტობაზე აკეთებს აქცენტს და მონაწილე ქვეყნებისგან სისტემური რეფორმების განხორციელებას მოითხოვს.

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პრაქტიკულ გზას შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რათა დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, შესაბამისი საჭიროების შემთხვევებში კი, ჰქონდეთ აუცილებელი მხარდაჭერა, რაც შესაძლოა, დასჭირდეთ დამოუკიდებლად მოქმედებისთვის. მხარდაჭერის ინსტიტუტის სამართლებრივი მოდელი ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა განსაზღვრავს ადამიანის პიროვნებას, ყოველდღიურობასა და მის სოციალურ ადგილს საზოგადოებაში. ადამიანი, რომელიც მოკლებულია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, ხდება უჩინარი საზოგადოებისთვის, მისი ხმა, მისი ნება – უხილავია, რაც ძალადობის სხვადასხვა ფორმის განხორციელების წინაპირობას ქმნის. ამგვარი „უხილავობისა“ და ერთგვარი „სამოქალაქო სიკვდილის“ მდგომარეობაში, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები სრულად ვერ იქნება ხელმისაწვდომი.

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი არის ახლებური, მეურვეობის ინსტიტუტისაგან კარდინალურად განსხვავებული მიდგომა. მეურვეობის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული მოქმედებდა საქართველოში, როგორც ფორმალურად, ასევე ფაქტობრივად, სრულად ართმევდა ფსიქო-სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური ნიშნით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ნებას მთლიანად ანაცვლებდა მეურვის ნება, და ამ თვალსაზრისით, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს სრულად ჰქონდათ წართმეული საკუთარი სურვილისა და გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა. მხარდაჭერის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უმნიშვნელოვანეს პრინციპებზე დაყრდნობით, უფრო სამართლიან, თანასწორ და ჰუმანურ ხედვას გვთავაზობს ადამიანის უფლებების ძირითად არსსა და იდეაზე.

საკანონმდებლო რეფორმამ უზრუნველყო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობისა და ქმედუნარიანობის ახლებური, გაეროს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან მეტ შესაბამისობაში მყოფი მოდელის დამკვიდრება. მხარდაჭერის, მეურვისგან განსხვავებით, არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით. მიუხედავად ამ პრინციპული და ფუნდამენტური განსხვავებისა, საზოგადოებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში იცნობდა და იყენებდა მეურვეობის სისტემას, რთული აღმოჩნდა თავი აერიდებინა ნების ავტომატური, აბსოლუტური ჩანაცვლების ძლიერი ინერციისთვის. ამის გათვალისწინებით, ქმედუნარიანობის უნივერსალური უფლება, შესაძ-

ლოა, მხარდაჭერის განხორციელებისას არათანაბარზომიერად მაღალი ხარისხით შეიზღუდოს, რაც განპირობებულია როგორც კანონმდებლობის ხარვეზებით, ისე რეფორმის განხორციელების პროცესში არსებული ინსტიტუციური და პრაქტიკული ბარიერებით.

დოკუმენტის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია-სა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მიმოიხილოს ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელს და ეფექტური მხარდაჭერის განხორციელებას უკავშირდება.

დოკუმენტი სამი თავისგან შედგება. პირველი თავი მიმოიხილავს გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელის არსს, მის ძირითად პრინციპებს, რომელიც დაკავშირებულია მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარ როლთან, მისი ინდივიდუალური სურვილების გათვალისწინების უპირატესობასთან და კომუნიკაციის დამყარების ალტერნატიულ მიდგომებთან. ის მხარდამჭერებს გააცნობს გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელის კონცეფციას, როგორც პრაქტიკულ საშუალებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში ისარგებლონ სამართლებრივი ქმედუნარიანობით ცხოვრების ყველა სფეროში სხვების თანასწორად. მეორე თავი საუბრობს გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელის ორ უმთავრეს სუბიექტზე – მხარდაჭერის მიმღებ პირსა და მხარდამჭერზე. მესამე თავი ანალიზებს გადანყვეტილების მიღების პრინციპებს და აქცენტს აკეთებს მის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებზე.

1. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდული?

ემედუნარიანობით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ნების ჩანაცვლების სისტემის ნაცვლად, კონვენციას შემოაქვს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის.

მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა ადამიანს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, თუმცა, მათ შესაძლებელია, ესაჭიროებოდეთ დახმარება ამ პროცესში, ისევე, როგორც საკუთარი უნარების განვითარებისა და საკუთარი უფლებებით სარგებლობისთვის. შშმ პირი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები, ხოლო მისი მხარდამჭერის ვალდებულებაა, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოს მას რელევანტური ინფორმაცია, აუხსნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და, ასევე, განმარტოს მისი მინიშნებები და სურვილები მესამე პირებთან კომუნიკაციის დროს.

1.1. მხარდაჭერის მოდული პირის მთავარი როლი

ტრადიციულად, შშმ პირებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა სამედიცინო მოდელსა და ე.წ. ზრუნვის პარადიგმას ეფუძნებოდა, სადაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები მესამე პირებზე იყვნენ დამოკიდებულნი, ითვლებოდნენ ზრუნვის პასიურ ობიექტებად და არა უფლებების მქონე სუბიექტებად. კონვენციის მიღებამ შეცვალა ზრუნვის პარადიგმა მხარდაჭერის კონცეფციით, რომელიც ეყრდნობა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა. დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების ამჟამინდელი ფილოსოფია მოიცავს ისეთი ტიპის მხარდაჭერის განხორციელებას, რომელიც შშმ პირებს, მათი შეზღუდული შესაძლებლობის ტიპისა და საჭიროების მიუხედავად, მისცემს შესაძლებლობას, აკონტროლონ და წარმართონ საკუთარ ცხოვრება. შესაბამისად, მხარდაჭერის სისტემების მიერ შშმ პირთა ცხოვრების ზედმეტად დეტალური რეგულირება მიუღებელია.

გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემებისგან განსხვავებით, მხარდაჭერის კონცეფცია გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიურობას, მისი სურვილებისა და ნების უპირობო პრიორიტეტულობასა და ცენტრალურობას, რაც თავისთავად აყალიბებს მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატს – მხარდაჭერის მიმღებ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც არ ეთანხმებიან მხარდამჭერები ან/და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნავიდნენ რისკზე და დაუშვან შეცდომები.

ცხადია, შშმ პირის როლის ცენტრალურობის პრინციპი მხოლოდ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მიმდინარეობის პროცესით არ შემოიფარგლება. ეს კონცეფცია ასევე რელევანტურია მხარდაჭერის დანიშვნამდეც – მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა სწორედ პირის მიერ მხარდაჭერის მიღების სურვილი უნდა იყოს. ამავე პრინციპის შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მხარდაჭერის მიღება.

1.2. პირის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლინება

მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისათვის იდენტიური მხარდაჭერის განევა არაეფექტიანი და დისკრიმინაციულიც კი შეიძლება იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის განხორციელების პროცესი ემყარებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილებსა და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

გადანწყვეტილების ჩანაცვლების სისტემებისგან განსხვავებით, გადანწყვეტილების მიღების პროცესში ინტენსიური მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, **საუკეთესო ინტერესების პრინციპის გამოყენება, და ასევე, რაიმე უფლების შეზღუდვა დაუშვებელია.** ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ადამიანის სურვილებისა და ნების იდენტიფიცირება განსაკუთრებულ გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. თუმცა, ამ დროსაც კი საუკეთესო ინტერესების კონცეფციის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს „ნებისა და სურვილების საუკეთესო ინტერპრეტაციის“ პრინციპი. ამ პრინციპის პრაქტიკაში გამოყენება სხვადასხვა ფაქტორისა და წყაროს გათვალისწინებით არის შესაძლებელი, მაგალითად – ადამიანის ცხოვრების ისტორია, მისი ღირებულებები, მის მიერ წარსულში მიღებული გადანწყვეტილებები ან/და გამოთქმული მოსაზრებები, პერსონალური სურვილები, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების შინაარსი და სხვა.

1.3. მხარდაჭერის უტაპები

მხარდაჭერის პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან შედგება:

- **სურვილების იდენტიფიცირება** – მხარდაჭერის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებასა და სურვილებს, შესაბამისად, პირველ რიგში, არსებითია მათი იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მხარდამჭერსა და მხარდასაჭერ პირს შორის მყარდება ინტენსიური კომუნიკაცია, რაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობაა. ცალკეულ შემთხვევაში, პირის მიერ გამოთქმული სურვილები მხარდამჭერმა, შესაძლოა, არარეალისტურადაც კი მიიჩნიოს, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მისი როლის გააზრება – განსჯის ნაცვლად, იგი უნდა დაეხმაროს მხარდასაჭერ პირს, გაიაზროს საკუთარი სურვილები და მიიღოს ინფორმაცია შესრულების პროცესში შესაძლო სირთულეებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ.
- **ინფორმაციის შეგროვება** – მას შემდეგ, რაც პირის ნება და სურვილები იქნება იდენტიფიცირებული, მნიშვნელოვანია შესაძლო არჩევანის შესახებ (მათ შორის, დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით) სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება მხარდამჭერის მიერ.
- **სხვადასხვა არჩევანის გააზრება** – თითქმის ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით რამდენიმე სხვადასხვა არჩევანის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. გადანწყვეტილების მიღების ეს ეტაპი ყველაზე სენსიტიურია და გულისხმობს მხარდასაჭერი პირების მიერ სხვადასხვა არჩევანის გააზრებას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს, ისევე, როგორც გადანწყვეტილებისგან თავის შეკავების სავარაუდო შედეგების დანახვას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდამჭერმა დაიცვას ნეიტრალურობისა და ეთიკური სტანდარტები მხარდაჭერის მიმღებზე არასათანადო ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით.
- **გადანწყვეტილების მიღება** – ეს მთავარი ეტაპია მხარდაჭერის პროცესში. მხარდამჭერის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის პირის დახმარება, მიიღოს გადანწყვეტილება, გაიაზროს და დაგეგმოს შესრულების პროცესი.
- **გადანწყვეტილების შესრულება** – მხარდაჭერის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული გადანწყვეტილების შესრულებაა. აქ მხარდამჭერებს სხვადასხვა როლი შეიძლება დაეკისროთ. მათ შორისაა, გადანწყვეტილების შესრულების გზების ძიება და ამ პროცესში მხარდაჭერა, პირის შესაბამის სერვისებში გადამისამართება და სხვ.

- **განხორციელებული ქმედების შეფასება** – ამ დროს ხდება წინარე ეტაპების, მათ შორის, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედებების შეფასება (მათ შორის, მესამე პირებთან მიმართებით). ეს ეტაპი მხარდასაჭერ პირს ეხმარება, უპირველესად, უკეთ დარწმუნდეს საკუთარ გადაწყვეტილებაში, ან განსაზღვროს ის, თუ რის შეცვლას ისურვებდა მომავალში. უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის თითოეული ამ ეტაპის გავლა ყველა შემთხვევაში. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ დაგეგმვას საჭიროებს. ამასთან, შეიძლება კონკრეტული შემთხვევა იძლეოდეს იმის აუცილებლობას, რომ რომელიმე საფეხურს უფრო მეტი დრო დაეთმოს ან საჭირო გახდეს წინა ეტაპზე დაბრუნება.

1.4. კომუნალური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ეთიკური სტანდარტები

საკუთარი ვალდებულებების შესრულებისას, მნიშვნელოვანია, რომ მხარდამჭერმა პატივი სცეს მხარდაჭერის მიმღები პირების როლის ცენტრალურობასა და ავტონომიურობას. ამ მიზნის მისაღწევად, არსებითია, რომ მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის ურთიერთობა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეთიკური სტანდარტების მიხედვით ხორციელდებოდეს.

- მხარდამჭერმა ფუნქციები კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, დაიცვას არსებული სამართლებრივი რეგულაციები, საერთაშორისო სტანდარტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები. მისთვის უპირობოდ პრიორიტეტული უნდა იყოს მხარდასაჭერი პირის ნება და არჩევანი;
- მხარდამჭერმა უნდა გაიაზროს, რომ მხოლოდ მხარდაჭერის მიმღები პირი არის უფლებამოსილი, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილებები და აიღოს პასუხისმგებლობა;
- მხარდამჭერმა პირს უნდა დაუჭიროს მხარი არსებული ბარიერების დაძლევაში და მისი როლი არ უნდა მოიცავდეს ზრუნვის ან გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლების ელემენტებს;
- მხარდამჭერმა მხარდასაჭერ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გასაგებად და მხოლოდ მისთვის მისაწვდომ ფორმატში;
- მხარდამჭერი არ უნდა დაეხმაროს პირს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ამასთან, მას უნდა აქვდეს შესაძლებლობა, პირის იმ ქმედებებთან მიმართებით, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მის მსოფლმხედველობას, უარი თქვას მხარდაჭერაზე;
- მხარდამჭერმა უნდა დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა;
- მხარდამჭერმა არ უნდა იქონიოს მხარდასაჭერ პირზე არასათანადო ზეგავლენა. მან უნდა გამოიცილოს ინტერესთა კონფლიქტის დროს მოქმედება, ასევე, თავი უნდა შეიკავოს შმმ პირისგან ან მისი ოჯახის წევრებისგან რაიმე ტიპის სარგებლის მიღებაზე.

1.5. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიღებუ პირთან

ყველაფერი, რასაც სხვა ადამიანებთან ერთად ვაკეთებთ, მათ შორის გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი, ვარგ კომუნიკაციას ეფუძნება. ჩვენ ყველანი ვამყარებთ კომუნიკაციას სხვა ადამიანებთან დღის განმავლობაში. კომუნიკაცია მოიცავს იდეების, ემოციების, სურვილებისა და საჭიროებების გაზიარებას საუბრით, წერილობითი ფორმით, ქცევითა და სხეულის ენით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი ადამიანისათვის, კომუნიკაციის დამყარება შეიძლება მოითხოვდეს უფრო მეტ დროსა და საჭიროებდეს დამატებით მხარდაჭერას. ზოგიერთი ადამიანი კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებას, როგორცაა: დამხმარე ტექნოლოგიები, სურათები და ა.შ.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება სწორედ მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას. თუ თქვენ უკვე იცნობთ მხარდაჭერის მიმღებ პირს, უკვე გექნებათ ინფორმაცია, როგორი ფორმით არის შესაძლებელი ყველაზე უკეთ მასთან ურთიერთობის დამყარება. მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია გამოხატოს თავისი იდეები

და გრძნობები თქვენთან და ესმის, რასაც თქვენ ამბობთ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ახლა ხვდებით პირველად მხარდაჭერის მიმღებ პირს, მნიშვნელოვანია გარკვეული დროის დათმობა იმისათვის, რომ მაქსიმალურად უკეთ გაიცნოთ ის. იმისათვის, რომ იყოთ კარგი მხარდაჭერი, აუცილებელია გამოყოთ გარკვეული დრო დასაწყისში კარგი კომუნიკაციის დასამყარებლად და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. გაარკვეეთ, მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესები, შიშები და ა.შ. გაერკვეთ მათი დღის წესრიგში, რისი გავლენა სიამოვნებს და რისი შეცვლა სურს.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია – ერთი პირი აგზავნის მესიჯს/ინფორმაციას და მეორე პირი იგებს მას და იღებს. კონკრეტული კომუნიკაციის არხის დასამყარებლად, ადამიანები იყენებენ კომუნიკაციის სიტყვებით, საგნებით, ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლოებითა და ჟესტებით. კომუნიკაციის წარმატებისთვის, არსებითია ფოკუსირება პირზე და იმის განსაზღვრა, თუ კომუნიკაციის რომელი მეთოდი შეესაბამება საუკეთესოდ მას.

ვერბალური კომუნიკაციის გარდა, არსებობს ალტერნატიული (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველების ნაცვლად) და დამატებითი (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველებასთან ერთად) კომუნიკაციის ფორმები. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაციის ფორმები მრავალფეროვანია და საჭიროა შეფასდეს, რომელი სისტემა მიესადაგება ადამიანს ყველაზე მეტად. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაცია საჭიროებს მხარდაჭერასა და ახალი სისტემების შეთავაზებას, კერძოდ:

- დახმარების გარეშე: ჟესტები, სახის გამომეტყველებები;
- დახმარების საჭიროების მქონე: დამხმარე საშუალებები. მაგალითად, სურათები, კომპიუტერები ან კომუნიკაციის დამყარების სპეციალური მოწყობილობები.

კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმები შესაძლებელია საჭირო გახდეს პირის სურვილების, წუხილებისა და საჭიროებების განსაზღვრისათვის. შეიძლება პირს ჰქონდეს სირთულე, გამოხატოს საკუთარი სურვილები და გააცნოს ისინი სხვა ადამიანებს. ზოგიერთ ადამიანს, მაგალითად, ესაჭიროება კომუნიკაციის მოწყობილობები ან ადამიანს, რომელიც ატარებს გასაუბრებას, შესაძლოა დასჭირდეს სპეციალური ტექნიკების გამოყენება, რათა მისი სურვილები გაიგოს.

თქვენი როლია:

დარწმუნდეთ, რომ გესმით მხარდაჭერის მიმღები პირის და მას ესმის თქვენი. ამისთვის:

- კითხეთ მხარდაჭერის მიმღებ პირს, როგორ, რა ფორმით ურჩევნია ინფორმაციის მიღება;
- ისწავლეთ მხარდაჭერის მიმღებ პირთა წარსულში დამყარებული კომუნიკაციის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- გამოკითხეთ სხვა ადამიანები, იმისათვის, რათა უკეთ გაიგოთ, როგორი ფორმით ურჩევნია მხარდაჭერის მიმღებ პირს კომუნიკაცია;
- ყოველთვის კითხეთ თქვენს თავს, გესმით თუ არა, რას გუბნებათ მხარდაჭერის მიმღები პირი;
- გაატარეთ დრო მხარდაჭერის მიმღებ პირთან, ჩაინიშნეთ არა მხოლოდ ის, თუ რას ამბობს, არამედ ის, თუ როგორ იქცევა;
- საჭიროების შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია სხვადასხვა დარგის სპეციალისტთან, რომ უფრო ეფექტური მხარდაჭერა გაუწიოთ პირს.

გახსოვდეთ:

- კომუნიკაცია არის უმთავრესი გადარწმუნების მხარდაჭერის მოდელისათვის;
- არასოდეს გააკეთოთ ვარაუდები, რას ამბობს მხარდაჭერის მიმღები პირი ან რა სურს მას;
- ყოველთვის შეამოწმეთ – გესმით რას ამბობს მხარდაჭერის მიმღები პირი? ესმის მხარდაჭერის მიმღებ პირს, რას გუბნებთ?

2. მხარდაჭერაში ჩართული სუბიექტები და მათი სტატუსი

მხარდაჭერის სისტემაში მრავალი საჯარო და კერძო სუბიექტია ჩართული. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებაში, თუმცა, უპირველესად, მხარდაჭერის ურთიერთობის მხარეების – მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების უფლებებისა და ვალდებულებების ნათელი იდენტიფიცირება არსებითია რეფორმის ძირითადი არსის გასაგებად.

მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერების როლის ანალიზთან ერთად, არსებითია მათ შორის ურთიერთობის ფორმების განხილვა. სხვადასხვა სქემა ფოკუსირებას ახდენს მხოლოდ არაფორმალურ მხარდამჭერებზე (მაგ. ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები), რომლებთანაც უკვე არსებობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეორე მხრივ, ცალკეული მექანიზმები ითვალისწინებს ისეთი ტიპის მხარდამჭერების არსებობას, რომელთაც მხარდაჭერის მიმღებ პირებთან წინარე ურთიერთობა არ აკავშირებთ, არამედ არიან გარე პირები ან/და პროფესიონალები, რომლებიც ამ ფუნქციების განხორციელებისთვის წინასწარ გადაამზადდეს. ცალკეულ შემთხვევებში არსებობს ე.წ. შერეული მიდგომა, სადაც მხარდაჭერა ხორციელდება ორივე ტიპის აქტორის მონაწილეობით.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარდამჭერად განსაზღვრულია პირი, რომელთანაც შშმ პირს აკავშირებს გარკვეული სახის წინარე ურთიერთობა, შესაძლოა მოხდეს მხარდასაჭერი პირის ნებისა და სურვილების უკეთ იდენტიფიცირება, თუმცა, მხოლოდ ამ სისტემაზე ფოკუსირება პრობლემურია. აქ, ერთი მხრივ, გამოწვევას წარმოადგენს ოჯახის წევრების მიერ პირზე შესაძლო არასათანადო ზეგავლენის უფრო მაღალი რისკები, პროფესიონალ მხარდამჭერთან შედარებით. მეორე მხრივ, შესაძლოა, თვითონ შშმ პირს არ სურდეს, რომ ოჯახის წევრებმა უზრუნველყონ მისი მხარდაჭერა და მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. შესაბამისად, პროფესიონალი მხარდამჭერის სერვისის შექმნა მნიშვნელოვანი იქნება შშმ პირების დამოუკიდებლობის მიღწევისა და ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობისთვის.

2.1. გაღმწევილობის მიღება ანუ მხარდაჭერის მიღება პირი

მხარდაჭერის მიმღებ პირს მხარდაჭერის სისტემაში მთავარი როლი აკისრია. მხოლოდ მას აქვს უფლება, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილებები, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისი სურვილის შესაბამისად, ჰქონდეს მხარდაჭერაზე წვდომა. მხარდაჭერის პროცესში მხარდასაჭერი პირის როლის ცენტრალურობა გულისხმობს მის უფლებამოსილებას, გამოარჩიოს ის ადამიანები, რომელიც მისი ნდობით სარგებლობენ, იზიარებენ მის ღირებულებებს და პატივს სცემენ მის ნებას, აირჩიოს ერთი ან რამდენიმე მხარდამჭერი (მათ შორის, მხარდამჭერთა ქსელი). მხარდაჭერის პროცესის შშმ პირის ნებაზე დაფუძნება ასევე გულისხმობს მის უფლებას, არ დაეთანხმოს გარშემომყოფების აზრს, ისწავლოს დაშვებული შეცდომებიდან და გასწავლოს რისკი. შშმ პირებს ასევე აქვთ უფლებამოსილება, მოითხოვონ არსებული მხარდაჭერითი ურთიერთობის ან/და მხარდამჭერის ცვლილება, ასევე, ნებისმიერ დროს უარი თქვან მხარდაჭერის მიღებაზე.

გადანყვეტილების მიმღები არის ზოგიერთი შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც, შესაძლებელია, ესაჭიროებოდეს მხარდაჭერა გადანყვეტილების მიღების პროცესში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ინტელექტუალური ნიშნით შემზღუდული შესაძლებლობით ან ფსიქო-სოციალური საჭიროებით, რომელიც გავლენას ახდენს პირის მიერ დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე.

ზოგჯერ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არა აქვთ შესაძლებლობა, თავად მიიღონ გადანყვეტილებები ან ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე დაყრდნობით. ამის გამო, მათ ერთმევათ შესაძლებლობა, მიიღონ გამოცდილება გადანყვეტილების მიღების პროცესებთან დაკავშირებით. გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელი სწორედ ამაში ეხმარება მათ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელიც იღებს გადანყვეტილებებს, მაშინაც კი, როცა ამ პროცესში მხარდაჭერას სხვა ადამიანებისგან იღებს.

ყველა ადამიანი განსხვავებულია. ჩვენ ყველანი ვიღებთ გადანყვეტილებებს განსხვავებული ფორმით სხვადასხვა დროს. ზოგიერთ ადამიანს მოწონს, როდესაც ამისთვის იყენებს უფრო მეტ დროს, ფიქრობს ყველა შესაძლო შემთხვევაზე და კონსულტაციას გადის სხვა ადამიანებთან. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთ ადამიანს მოწონს გადანყვეტილებების იმ წუთიერად მიღება. შემზღუდული შესაძლებლობის ქონა მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს გადანყვეტილების მიღების პროცესზე. გადანყვეტილების მიმღებ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შესაძლებელია მხარდაჭერა ესაჭიროებოდეს სხვადასხვა მიზეზის გამო. შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რომ სხვა ადამიანები მათ არ აღიქვამენ სერიოზულად, შეიძლება პირველად იღებენ რაღაც დიდ გადანყვეტილებას, შეიძლება უჭირდეთ კომპლექსურ საკითხებში გარკვევა ან შეიძლება უბრალოდ უნდოდეთ, რომ სწორი გადანყვეტილება მიიღონ. გადანყვეტილების მხარდაჭერის მოდელი ეხმარება გადანყვეტილების მიმღებ პირს, შეიძინოს საკმარისი უნარები, რომ თვითდაჯერებულად იგრძნოს თავი გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღების დროს.

გახსოვდეთ:

1. გადანყვეტილების მიმღები იღებს გადანყვეტილებას და მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა;
2. გადანყვეტილების მიმღებს შეიძლება ესაჭიროებოდეს მხარდაჭერა მხოლოდ კონკრეტულ გადანყვეტილებაში და კონკრეტულ დროს და შეეძლოს გადანყვეტილებების მიღება სხვა სფეროებში;
3. გადანყვეტილების მიმღები უნდა წვეტდეს, თუ ვინ იქნება მისი მხარდამჭერი და როგორ გაუწევს მხარდაჭერას.

2.2. მხარდამჭერი

მხარდამჭერი ის პირია, რომელიც, როგორც წესი, მხარდასაჭერ პირს ეხმარება: 1) მოიპოვოს და გაიაზროს ინფორმაცია; 2) შეაფასოს შესაძლო ალტერნატივები და გადანყვეტილების შესაძლო შედეგები; 3) გამოხატოს საკუთარი გადანყვეტილება; 4) აღასრულოს ეს გადანყვეტილება. მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, მხარდამჭერმა არ უნდა ჩაანაცვლოს მხარდაჭერის მიმღები პირის გადანყვეტილება და პროცესში მისი მონაწილეობის არსებობის ან არარსებობის

ფაქტი არ უნდა გახდეს შშმ პირის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. მაგალითისთვის, შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი შემფოთებას გამოთქვამს მხარდაჭერის იმგვარ სისტემაზე, როდესაც მხარდასაჭერი პირის მიერ ცალკეულ სფეროებში მიღებული გადაწყვეტილების ვალიდურობა/ნამდვილობა მხარდამჭერის მონონებაზე დამოკიდებულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუშვებელია, მხარდამჭერს დაეკისროს ფუნქციები მხარდაჭერის მიმღები პირის პოზიციის სანინააღმდეგოდ. ამასთან, თავისი ფუნქციების განხორციელებისას, მან უნდა უზრუნველყოს მხარდასაჭერი პირის ღირსებისა და ავტონომიის, მისი მიზნების, ღირებულებებისა და არჩევანის პატივისცემა და პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის ფორმების გააზრება. მნიშვნელოვანია, მხარდამჭერმა შეძლოს, დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მხარდასაჭერ პირთან და შეეძლოს მისი ნებისა და სურვილების კარგად განსაზღვრა. იგი არა მხოლოდ უნდა დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდასაჭერ პირს, არამედ ხელი შეუწყოს მისი დამოუკიდებელი უნარების (განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიღების უნარის) განვითარებას.

ცხადია, თავისი ვალდებულებების შესასრულებლად და პირისთვის ეფექტიანი მხარდაჭერის გასანერგად, პირველ რიგში, მხარდამჭერს უნდა ჰქონდეს მხარდაჭერის განწვევის სურვილი და საკმარისი დრო. ასევე, მნიშვნელოვანია, მისი მსოფლმხედველობა და ღირებულებები შეესაბამებოდეს მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს და მინიმუმამდე დაჰყავდეს პატერნალისტური დამოკიდებულებების საფრთხე. არსებითია კომუნიკაციისა და მოსმენის უნარები, რომელიც დაეხმარება მხარდამჭერს, მხარდასაჭერ პირთან დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. საბოლოო ჯამში, მის მიერ ფუნქციების შესრულება შესაძლებელია, ერთი მხრივ, მხარდაჭერის განწვევის ეფექტიანი უნარების არსებობის, ხოლო, მეორე მხრივ, რელევანტური ტრენინგებისა და სუპერვიზიის, ასევე, გაძლიერების სერვისებზე ხელმისაწვდომობის პირობებში.

მხარდამჭერი შეირჩევა გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ, რადგან სწორედ მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მხარდამჭერი არის ადამიანი, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები პირი ენდობა და როგორც წესი, კარგად იცნობს. თქვენ შეიძლება იყოთ მხარდამჭერი როგორც ერთ სფეროში, ისე – რამდენიმეში. ასევე, თქვენ შეიძლება არ იყოთ ერთადერთი მხარდამჭერი და პირს მხარდამჭერთა გუნდი ჰყავდეს.

საერთო მახასიათებლები, რომელიც ყველა მხარდამჭერს უნდა ჰქონდეს:

- სჯერა, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირს აქვს უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები;
- იცის, რას ნიშნავს იყო კარგი მხარდამჭერი და მიყვება ამ ღირებულებებს;
- ეხმარება მხარდაჭერის მიმღებ პირს თავად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები;
- არის მომთმენი;
- პატივს სცემს სხვა ადამიანების პერსონალურ მონაცემებს, განსაკუთრებით, მხარდაჭერის მიმღები პირის პირად სივრცეს;
- იცის, როდის გაუწიოს მხარდაჭერა და როდის გადგეს გვერდზე;
- ეხმარება მხარდაჭერის მიმღებ პირს განივითაროს ახალი და გაიუმჯობესოს არსებული უნარები;
- არ აკეთებს წინასწარ დაშვებას; მხარდამჭერები ცდილობენ გაარკვიონ, რა სურს პირს ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს და მათ არ უნდა ივარაუდონ, რომ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებას პირი აუცილებლად გაიმეორებს.

მხარდამჭერი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარდაჭერის მიმღებს შეუძლია ისარგებლოს უფლებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მას შეეხება. ეს

შეიძლება მოიცავდეს მხარდაჭერას ინფორმაციის მოძიებასთან, ალტერნატივების იდენტიფიცირებასთან, კომუნიკაციასთან, გადანაცვლებების ელემენტების გაგებასთან ან/და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, მხარდაჭერი დარწმუნდეს, რომ არ ახდენს თავისი შეხედულებებით ზეგავლენას მხარდაჭერის მიმღები პირის გადანაცვლებაზე.

გახსოვდეთ:

1. ყველა ადამიანი გადანაცვლებას იღებს განსხვავებულად და თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ მთავრად თქვენი გადანაცვლების მიღების სტილი მხარდაჭერის მიმღები პირისას;
2. მხარდაჭერად ყოფნა არ ნიშნავს სხვის ნაცვლად რაიმეს კეთებას, არამედ გულისხმობს დახმარებას, რათა პირმა თავად განახორციელეს ქმედება.

მხარდაჭერად ყოფნა თავიდან შეიძლება დამაბნეველი იყოს. თუნდაც თქვენ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებდეთ მხარდაჭერის მიმღებ პირთან, გადანაცვლების მხარდაჭერის მოდელი გულისხმობს ცვლილებებს თქვენს ქცევაში, დამოკიდებულებებსა და მხარდაჭერის განხორციელების პრაქტიკაში.

ეფექტური მხარდაჭერის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია:

- გადანაცვლების მიღების ეტაპები წარმართოს მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა;
- მნიშვნელოვანია, მხარდაჭერის მიმღები პირი თავს გრძნობდეს კომფორტულად, რათა გამოხატოს თავისი შეხედულებები თითოეულ ეტაპთან დაკავშირებით. მხარდაჭერმა უნდა წაახალისოს მხარდაჭერის მიმღები პირი, გამოთქვას, თუ რას ფიქრობს ან გრძნობს, თუნდაც თქვენ არ ეთანხმებოდეთ მას;
- აუცილებელია გადანაცვლების მიღების ეტაპები გადაიხედოს თქვენს მიერ მინიმუმ ერთხელ;
- შეგიძლიათ დაიწყოთ მარტივიდან – ეცადეთ შედარებით მარტივი გადანაცვლების მიღების პროცესით დაიწყოთ;
- იყავით მოქნილი მიდგომებთან დაკავშირებით;
- ზოგიერთ შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღებ პირს ესაჭიროება დრო. აუცილებელია მხარდაჭერის მიმღებმა პირმა იცოდეს, რომ მას შეუძლია არ აჩქარდეს;
- სრულიად ნორმალურია, მხარდაჭერის მიმღებმა პირმა დაუშვას შეცდომა ან შეიცვალოს აზრი.

3. გადაწყვეტილების მიღების 7 პრინციპი



3.1. პრინციპი 1 – ყველას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე

მხარდაჭერის მიმღებ პირებს უნდა შეეძლოს:

- მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომელიც გავლენას ახდენს მათზე;
- გამოხატონ და იმოქმედონ საკუთარი ღირებულებებით გადაწყვეტილების მიღების დროს;
- მიიღონ ინფორმაცია და მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროებათ გადაწყვეტილების მისაღებად;
- მოსმენილი და პატივცემული იყოს მათი დამოკიდებულებები და ღირებულებები.

მხარდაჭერის მიმღები პირები:

- პატივს უნდა სცემდნენ სხვა ადამიანის უფლებებს გადაწყვეტილების მიღების დროს.

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

- უნდა უზრუნველყონ თანამშრომლების ინფორმირება გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის შესახებ არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ;
- მხარდამჭერებმა:
- უნდა უზრუნველყონ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- მხარდაჭერა გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიიღონ ინფორმაცია, რომელიც მათ ესაჭიროებათ გადაწყვეტილების მისაღებად.

3.2. პრინციპი 2 – გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა აღიარებული უნდა იყოს**მხარდაჭერის მიმღებ პირებს უნდა:**

- ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები;
- გაეწიონ ნებისმიერი სახის მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროებათ გადაწყვეტილების მისაღებად;
- ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ ანგარიშსა და დოკუმენტზე, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

- უნდა უზრუნველყონ, რომ მათ თანამშრომლებს ჰქონდეთ არაგანსჯადი დამოკიდებულება, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იღებს გადაწყვეტილებას.

მხარდამჭერებმა:

- ყოველთვის გააკეთონ დაშვება, რომ პირს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება;
- ესმოდეთ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის არსი.

3.3. პრინციპი 3 – ყველა კალისებავა უნდა იყოს გამოყენებული, რომ აღაშინავეთ მიიღონ გადაწყვეტილება**მხარდაჭერის მიმღებ პირებს:**

- უნდა მიეწოდებოდეთ ყველა შესაძლო და შესაბამისი მხარდაჭერა, რათა თავად მიიღონ გადაწყვეტილებები.

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

- თანამშრომლებს უნდა მისცენ საკმარისი დრო და რესურსი, რათა მოახდინონ იდენტიფიცირება და შემდეგ მიაწოდონ საჭირო მხარდაჭერა პირს, რათა თავად მიიღოს გადაწყვეტილებები.

მხარდამჭერებმა:

- უნდა მოახდინონ პირის ნების იდენტიფიცირება და შემდეგ მიაწოდონ ნებისმიერი სახის მხარდაჭერა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და იმოქმედონ საკუთარი გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- მოახდინონ იდენტიფიცირება ისეთი ფაქტორების, რომელიც გავლენას ახდენს პირის შესაძლებლობაზე, მიიღოს გადაწყვეტილებები;
- მხარდაჭერა გაუწიონ პირს, ჩართოს საკუთარ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადამიანები, რომლებიც დაეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში.

3.4. პრინციპი 4 – გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა განსხვავებული შეიქლება იყო სფეროების მიხედვით

მხარდაჭერის მიმღებ პირებს:

- უნდა შეეძლოთ სხვადასხვა სახის გადანყვეტილების მიღება;
- უნდა ჰქონდეთ არჩევანისა და გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, რომელიც მათ არჩევანს ეფუძნება.

მხარდამჭერებს:

- უნდა ესმოდეთ ფაქტები და გარემოებები, რომელიც დგას ინდივიდუალური გადანყვეტილებების უკან;
- აქცენტი უნდა გააკეთონ ისეთ გარემოებებზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ გადანყვეტილებასთან.

3.5. პრინციპი 5 – აღაშინავენ აქვთ უფლება, ისწავლონ გამოცდილებით

მხარდაჭერის მიმღებ პირებს:

- უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოხატონ და იმოქმედონ საკუთარი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შესაბამისად იმ სფეროებთან მიმართებით, რომელშიც იღებენ გადანყვეტილებას;
- მიიღონ ინფორმაცია და მხარდაჭერა, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა მოქმედების განხორციელებასთან მათი ინტერესების შესაბამისად;
- უნდა შეეძლოთ სხვადასხვა მცდელობებისა და ექსპერიმენტების განხორციელება, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ გადანყვეტილებები;
- უნდა შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ აქტივობებში, რომელიც შეიცავს რისკის ელემენტებს.

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

- ფასილიტაცია უნდა გაუწიონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონაწილეობდნენ მაქსიმალურად ბევრ აქტივობაში;

მხარდამჭერებმა:

- ფასილიტაცია უნდა გაუწიონ და უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ საკუთარი გამოცდილებით.

3.6. პრინციპი 6 – აღაშინავს აქვთ უფლება, შეცვალონ გადაწყვეტილებები

მხარდაჭერის მიმღებ პირებს:

- უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიცვალონ აზრი საკუთარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მიზეზით, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია;
- უნდა მიენოდოთ გონივრული ახსნა და გაფრთხილება შეცვლილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ეხება სახელშეკრულებო და გრძელვადიან ვალდებულებებს.

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

- სერვისის მინოდების დროს უზრუნველყონ მოქნილობა, რომელიც მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნების საპასუხოდ.

მხარდაჭერებმა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ მიღებულ ნებისმიერ არჩევანს გადაწყვეტილების შეცვლასთან დაკავშირებით, უნდა უპასუხონ პატივისცემით;
- უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შეცვლილ გადაწყვეტილებასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიენოდოთ ისეთი ფორმით, რომელიც გასაგებია მათთვის და შეესაბამება მათი კომუნიკაციის სტილს.

3.7. პრინციპი 7 – აღაშინავს აქვთ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებსაც სხვები არ ეთანხმებიან

მხარდაჭერის მიმღებ პირებს:

- უნდა შეეძლოთ იქონიონ საკუთარი დამოკიდებულებები და შეხედულებები, რომელიც მოსმენილი და პატივცემული იქნება სხვების მიერ;
- გამოხატონ საკუთარი შეხედულებები ნებისმიერ რისკზე, სავარაუდო თუ რეალურზე და რომელიც დაკავშირებულია მათ გადაწყვეტილებებთან და არჩევანთან;
- უნდა შეეძლოთ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე;

მხარდაჭერები:

- უნდა დაეხმარონ პირს, განახორციელონ საკუთარი გადაწყვეტილებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მას არ ეთანხმებიან.

დოკუმენტში განხილულ თემებთან დაკავშირებით
დამატებითი ინფორმაციის მიღების და/ან კითხვების შემთხვევაში,
შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ორგანიზაციებს:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ტელ: 2 33 37 06

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
ტელ: 2 33 13 56